მოწყობილობის დანიშნულება

უნივერსალური ადაპტერი განკუთვნილია ნოუთბუქების კვებისთვის.

უსაფრთხოების ზომები

- გამოიყენეთ მოცემული მოწყობილობა მხოლოდ დანიშნულებისამებრ.
- მოცემული მოწყობილობა არ არის განკუთვნილი კომერციული მიზნებისთვის გამოსაყენებლად.
- მოწყობილობა არ არის განკუთვნილი ბავშვებისათვის, აგრეთვე შეზღუდული ფიზიკური, სენსორული ან გონებრივი შესაძლებლობების მქონე პირთათვის გამოსაყენებლად, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც მათზე ხორციელდება კონტროლი მათი უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი პირების მიერ. არ მისცეთ ბავშვებს მოწყობილობით თამაშის უფლება.
- ნოუთბუქთან მიერთებისას ადაპტერი არ უნდა იმყოფებოდეს დაკიდებულ მდგომარეობაში. აუცილებელია ადაპტერის განთავსება სწორ, მყარ ზედაპირზე.
- არ დააფაროთ ადაპტერს არაფერი და არ დადოთ მასზე სხვადასხვა საგნები.
- დაიცავით მოწყობილობა ტენიანობის, სხვადასხვა სითხისა და სითბოს წყაროების ზემოქმედებისგან.
- არ გახსნათ და არ დაშალოთ მოწყობილობა დამოუკიდებლად. მოცემული ადაპტერი არ შეიცავს ელემენტებს, რომელთა მომსახურებაც შესაძლებელია მომხმარებლის მიერ.
- მოარიდეთ მოწყობილობა ექსტრემალური ტემპერატურის ხანგრძლივ ზემოქმედებას.
- შეინახეთ მოწყობილობა ბავშვებისთვის მიუწვდომელ ადგილას.
- მოწყობილობის მუშაობაში ხარვეზების აღმოჩენისას მიმართეთ ავტორიზებულ სერვის-ცენტრს.
- არ გამოიყენოთ მოწყობილობა ხილული დაზიანების არსებობისას; მიმართეთ სერვის-ცენტრს.
- მოწყობილობის ნოუთბუქიდან გამორთვისას მოკიდეთ ხელი კონექტორს და არა კაბელს, რათა თავიდან აიცილოთ მისი დაზიანება.
- მუშაობის დროს ადაპტერის კვების ბლოკი შეიძლება გაცხელდეს, რაც არ წარმოადგენს გაუმართაობას.